N198 2015 წლის 6 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებისა და დანამატის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებისა და დანამატის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №127 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 11/02/2014, 130070000.10.003.017746) შეტანილ იქნეს შემდეგი შინაარსის ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული №1 და №2 დანართები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
1	სამსახურის უფროსი	3540
2	სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე	3200
3	სამსახურის უფროსის მოადგილე	2950
4	დირექტორატის უფროსი, სამსახურის უფროსის მრჩეველი	2700
5	დირექტორატის უფროსის მოადგილე, ინსტრუქტორ-კონსულტანტი, მთავარი სამმართველოს უფროსი	2600
6	სამმართველოს უფროსი, ინსტრუქტორი, მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2500
7	სამმართველოს უფროსის მოადგილე, ექსპერტ-ანალიტიკოსი	2100
8	განყოფილების უფროსი	1900
9	განყოფილების უფროსის მოადგილე	1700
10	მთავარი ბუღალტერი	1600

11	დაცვის ოფიცერი	1500
12	დაზვერვის ოფიცერი (კატეგორიის გარეშე)	1300
13	ოპერატიული მორიგე	1200
14	სპეციალისტი (კატეგორიის გარეშე)	1000
15	დაცვის თანამშრომელი, მძღოლი	800
16	დამხმარე მოსამსახურე	700

დანართი №2

დაზვერვის ოფიცრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო კატეგორიის მიხედვით

კატეგორია	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
თანამდებობრივი სარგო (ლარი)	1500	1600	1700	1900	2100	2500	2600	2700	2950	3200

შენიშვნა: დაზვერვის ოფიცერს კატეგორიას ანიჭებს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი.“.

2. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №3:

„**დანართი №3**

სპეციალისტის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო კატეგორიის მიხედვით

კატეგორია	I	II	III	IV
თანამდებობრივი სარგო (ლარი)	1200	1300	1500	1600

შენიშვნა: სპეციალისტს კატეგორიას ანიჭებს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი.“.

3. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 მუხლი:

„**მუხლი 3^1.** განისაზღვროს დაზვერვის ოფიცრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოსა და კატეგორიების შემდეგი შესაბამისობა:

ა) მეათე კატეგორია – სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;

ბ) მეცხრე კატეგორია – სამსახურის უფროსის მოადგილე;

გ) მერვე კატეგორია – დირექტორატის უფროსი, სამსახურის უფროსის მრჩეველი;

დ) მეშვიდე კატეგორია – დირექტორატის უფროსის მოადგილე, ინსტრუქტორ-კონსულტანტი, მთავარი სამმართველოს უფროსი;

ე) მეექვსე კატეგორია – სამმართველოს უფროსი, ინსტრუქტორი, მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ვ) მეხუთე კატეგორია – სამმართველოს უფროსის მოადგილე, ექსპერტ-ანალიტიკოსი;

ზ) მეოთხე კატეგორია – განყოფილების უფროსი;

თ) მესამე კატეგორია – განყოფილების უფროსის მოადგილე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**